1964/2.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებანი

№ 9 (242) 31 მარტი 1964 წელი

## შინაარსი

### ნაწილი I

#### განყოფილება მეორე

154. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ა. კარლოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
155. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მუკუმ სულთანოვის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.
156. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. დ. დაიროვის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.
157. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ს. დრიგინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

#### განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა იმ შეთანხმების შესახებ, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა ეკონომიური და ტექნიკური დახმარება აღმოუჩინოს მალის რესპუბლიკას სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოს „ნოფის დიუ ნიჟერის“ განვითარებაში.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ი. ე. კალნბერზინს რწმუნების სიგელები გადასცა იემენის არაბთა რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სალეჰ ალი ალ-აშუალმა.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ი. ე. კალნბერზინს რწმუნების სიგელები გადასცა ბრაზილიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ე. რ. ვალემ.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს რწმუნების სიგელები გადასცა საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ფ. ბოდემ.
ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნაწილი II

## განყოფილება მეორე

158. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების აქტივისტების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

159. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. ფ. გაგნიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაწილი I

## განყოფილება მეორე

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**154** **ამხ. ვ. ა. კარლოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ**

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით უზბეკეთის კპ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. ვლადიმერ ალექსის ძე კარლოვი დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 17 მარტი.
№ 2321-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**155** **ამხ. მუკუმ სულთანოვის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ**

აქტიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით ამხ. მუკუმ სულთანოვი დაჯილდოვდეს „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 18 მარტი.
№ 2323-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**156** **ამხ. მ. დ. დაიროვის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ**

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სემიპალატინსკის მშრომელთა დეპუტატების

ეროვნული ბიბლიოთეკა

საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მუზაპარ დაირის ძე დაიროვი დაჯილდოვდეს „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 18 მარტი.
№ 2324-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 157 ამხ. ა. ს. დრიგინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სკკპ ვოლოგდის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ანატოლ სიმონის ძე დრიგინი დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 19 მარტი.
№ 2325-VI.

## განყოფილება მესამე

## საინფორმაციო ცნობა

### იმ შეთანხმების შესახებ, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა ეკონომიური და ტექნიკური დახმარება აღმოუჩინოს მალის რესპუბლიკას სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოს „ოფის დიუ ნიჟერის“ განვითარებაში

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ და მალის რესპუბლიკის მთავრობამ, რომლებიც გამომდინარეობენ სსრ კავშირისა და მალის რესპუბლიკის ხალხებს შორის არსებული მეგობრული ურთიერთობიდან და ესწრაფვიან შემდგომ განავითარონ ეკონომიური და ტექნიკური თანამეგობრობა ორივე ქვეყანას შორის, 1962 წლის 10 ოქტომბერს ბამაკოში დადეს შეთანხმება იმის შესახებ, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა ეკონომიური და ტექნიკური დახმარება აღმოუჩინოს მალის რესპუბლიკის მთავრობას სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოს „ოფის დიუ ნიჟერის“ განვითარებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეთანხმება რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1963 წლის 26 თებერვალს; მალის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მიერ — 1964 წლის 8 იანვარს.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა მოსკოვში 1964 წლის 5 თებერვალს.

შეთანხმება ძალაში შევიდა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღეს.

შეთანხმების ტექსტი გამოქვეყნებულია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“ (№ 12, 1964 წლის 18 მარტი).

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ი. ე. კალნბერზინს რწმუნების სიგელები გადასცა იემენის არაბთა რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სალეჰ ალი ალ-აშუალმა

14 მარტს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ი. ე. კალნბერზინმა კრემლში მიიღო იემენის არაბთა რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სალეჰ ალი ალ-აშუალი, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ელჩს თან ახლდნენ მრჩეველი-დესპანი ახმედ ალ-შიჯნი, მრჩეველი ალი ახმედ ალ-ტაბაზი, სამხედრო ატაშე პოდპოლკოვნიკი აბდულა ალ-მუაიედი და საელჩოს სხვა დიპლომატიური თანამშრომლები.

რწმუნების სიგელების გადაცემას ესწრებოდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამდივნოს უფროსი კ. უ. ჩერნენკო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საერთაშორისო კავშირურთიერთობის განყოფილების გამგის მოადგილე ა. ლ. ზორინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებათა გამგეების მოადგილეები ვ. ი. კორნევი და ვ. ვ. კარიაგინი.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და მას შემდეგ, რაც სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს, ი. ე. კალნბერზინსა და სალეჰ ალი ალ-აშუალს შორის გაიმართა საუბარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ვ. ს. სემიონოვმა და კ. უ. ჩერნენკომ.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ი. ე. კალნბერზინს რწმუნების სიგელები გადასცა ბრაზილიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ე. რ. ვალემ

20 მარტს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ი. ე. კალნბერზინმა კრემლში მიიღო ბრაზილიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ენრიკე როდრიგეს ვალე, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელჩს თან ახლდნენ სრულუფლებიანი მინისტრი, მრჩეველი მ. ა. ოზორიო დე ალმეიდა, საელჩოს მდივნები როდოლფო დე სუზა-დანტასი, ჟ. მურილიო დე კარვალო და ჟ. ბოტაფოგო გონსალვესი.

რწმუნების სიგელების გადაცემას ესწრებოდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ლ. ორლოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამდივნოს უფროსი კ. უ. ჩერნენკო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საერთაშორისო კავშირურთიერთობის განყოფილების გამგის მოადგილე ა. ლ. ზორინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებათა გამგეები ვ. ი. ბაზიკინი და თ. თ. მოლოჩკოვი.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და მას შემდეგ, რაც სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს, ი. ე. კალნბერზინსა და ე. რ. ვალეს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ა. ლ. ორლოვმა და კ. უ. ჩერნენკომ.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს რწმუნების სიგელები გადასცა საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ფ. ბოდემ

21 მარტს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა კრემლში მიიღო საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ფილიპე ბოდე, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ელჩს თან ახლდნენ სრულუფლებიანი მინისტრი, მრჩეველი ფ. დე ლიაბულაიე, მრჩეველი რ. ბრესიე, სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ატაშე ბრიგადის გენერალი კ. დე ლია რიუელი, სამხედრო-საჰაერო ატაშე პოდპოლკოვნიკი რ. ბუდონი, სავაჭრო მრჩეველი ლეგიუიადერი და საფრანგეთის საელჩოს სხვა დიპლომატიური თანამშრომლები.

რწმუნების სიგელების გადაცემას ესწრებოდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ა. ზორინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებათა გამგეები ვ. თ. გრუზიაკოვი და თ. თ. მოლოჩკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საერთაშორისო კავშირურთიერთობის განყოფილების გამგის მოადგილე ა. ლ. ზორინი და სხვა ოფიციალური პირები.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და მას შემდეგ, რაც სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს, ლ. ი. ბრეჟნევს ფ. ბოდესთან ჰქონდა საუბარი, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. საუბარში მონაწილეობა მიიღეს მ. პ. გიორგაძემ და ვ. ა. ზორინმა.

მუხ. 158 ეროვნული ბიბლიოთეკა

## ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ

### რ ს ფ ს რ

**დაქვემდებარების შეცვლა**

რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 9 მარტის ბრძანებულებით კრასნოდარის მხარეში შეუერთდა:

კორენოვსკის სასოფლო რაიონს — ქალაქი კორენოვსკი;

კურგანინსკის სასოფლო რაიონს — ქალაქი კურგანინსკი.

## ნაწილი II

### განყოფილება მეორე

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**158 საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების აქტივისტების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. ვასილ სოფრონის ძე **არუდაშვილი** — თელავის ძაფსახვევი ფაბრიკის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის თავმჯდომარე.

2. ზოსიმე ხარიტონის ძე **არძინბა** — გუდაუთის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს სოფელ დურიფშის კოლმეურნეობის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის თავმჯდომარე.

3. ჯემალ კონსტანტინეს ძე **ახმეტელი** — თბილისის ოქტომბრის რაიონის „კომკავშირული პროჟექტორის“ შტაბის წევრი.

4. კონსტანტინე შალვას ძე **ბაქრაძე** — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის ბიუროს თავმჯდომარე.

5. ლავრენტი გიორგის ძე **ბერაძე** — გალის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის შტატგარეშე ბიუროს გამგე.

6. რაფიელ დიმიტრის ძე **ბერიაშვილი** — გურჯაანის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. ჯემალ არჩილის ძე **ბერიძე** — თბილისის „კომკავშირული პროჟექტორის“ საქალაქო შტაბის უფროსის მოადგილე.

8. რევაზ ნესტორის ძე **გიორგაძე** — რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის თავმჯდომარე.

9. ვლადიმერ არტემის ძე **ვართანოვი** — თეთრიწყაროს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს სოფელ ჯორჯიაშვილის კოლმეურნეობის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის თავმჯდომარე.

10. რობერტ ლეონის ძე **ვასაძე** — თბილისის კერამიკული კომბინატის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის თავმჯდომარე.

11. დიმიტრი არსენის ძე **თოიძე** — მახარაძის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს სოფელ ნატანების ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის თავმჯდომარე.

12. ქრისტეფორე დავითის ძე **კაბისოვი** — ცხინვალის ქარხანა „ემალსადენის“ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის თავმჯდომარე.

13. ომარი ნიკოლოზის ძე **კვირიკაშვილი** — რუსთავის „კომკავშირული პროჟექტორის“ შტაბის უფროსი.

14. ალექსანდრე სერგის ძე **კილატოვი** — ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის თავმჯდომარე.

15. ირაკლი სამსონის ძე **კობახიძე** — ამბროლაურის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს სოფელ ნიკორწმინდის კოლმეურნეობის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის თავმჯდომარე.

16. ოთარ გაბრიელის ძე კოვზირიძე — კასპის ცემენტის ქარხნის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე.

17. ნიკოლოზ თევდორეს ძე **კრული** — ბათუმის საზღვაო პორტის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის თავმჯდომარე.

18. ოთარ ალექსანდრეს ძე **კურატაშვილი** — თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე.

19. გრიგოლ მოსეს ძე **მალუნცევი** — თბილისის ოქტომბრის რაიონის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის შტატგარეშე ბიუროს გამგე.

20. აკაკი საბას ძე **მამულაშვილი** — ყვარლის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის შტატგარეშე ინსპექტორი.

21. ილია სერგის ძე **მაღლაკელიძე** — ბორჯომის მინერალური წყლ[illegible] მომსხმელი ქარხნის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის თავმჯდომარე.

22. ემელიანე ალახვერდი ოღლი **მუსტაფაევი** — ბოლნისის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო-სამმართველოს ყაჩაღანის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის თავმჯდომარე.

23. ანტონ ილიას ძე **მჭედლიშვილი** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის განყოფილების შტატგარეშე ინსპექტორი.

24. გურამ ალექსანდრეს ძე **ნიშნიანიძე** — სამტრედიის „კომკავშირული პროჟექტორის“ შტაბის უფროსი.

25. თევდორე ივანეს ძე **პოლიპჩუკი** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის მშრომელთა საჩივრებისა და წინადადებების ბიუროს შტატგარეშე ინსპექტორი.

26. ვალენტინა ზაქარიას ასული **პოლივანოვა** — რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხნის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის თავმჯდომარე.

27. ნუგზარ ანდრიას ძე **რამიშვილი** — ხაშურის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს „კომკავშირული პროჟექტორის“ შტაბის უფროსი.

28. იური პავლეს ძე **რომანოვი** — ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის ბიუროს თავმჯდომარე.

29. ლუდვიგ ევგენის ძე **რუსეცკი** — ჭიათურის „კომკავშირული პროჟექტორის“ შტაბის უფროსი.

30. ტრიფონ პლატონის ძე **რუხაძე** — წულუკიძის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის შტატგარეშე განყოფილების გამგე;

31. შალვა იასონის ძე **სულთანიშვილი** — გორის ბამბეულის კომბინატის № 2 ფაბრიკის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის თავმჯდომარე.

32. ალექსანდრე პეტრეს ძე **სხულუხია** — სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის ბიუროს თავმჯდომარე.

33. ავთანდილ დავითის ძე **ტაბატაძე** — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის ბიუროს თავმჯდომარე.

34. გივი სერგის ძე **ფხაკაძე** — ქუთაისის „კომკავშირული პროჟექტორის“ შტაბის უფროსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეობის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელმძღვანელი ჯგუფის თავმჯდომარე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1964 წლის 19 მარტი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 159 ამხ. კ. ფ. გაგნიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოცი წელთან დაკავშირებით და რესპუბლიკის ენერგოსისტემის განვითარების საქმეში დამსახურებისათვის „საქმთავენერგოს“ სადისპეტჩერო სამსახურის უფროსი ამხ. კონსტანტინე ფილიპეს ძე გაგნიძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1964 წლის 25 მარტი.